



ახსნა - განმარტებითი ბარათი

ვის:	საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ დავით ზალკალიანს ასლი: შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორს, ბატონ გიორგი თვალავაძეს
ვისგან:	ქ. ლონდონში საქართველოს საელჩოს, უფროსი მრჩეველის, გიორგი ფანიაშვილისგან
თარიღი:	14.12.2020
საკითხი:	გ. ფანიაშვილის მიმართ დისციპლინური წარმოება
მოამზადა:	ქ. ლონდონში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, გიორგი ფანიაშვილმა

გავეცანი რა, თქვენს ბრძანებას ჩემს მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოების შესახებ (2020 წლის 9 დეკემბრის N01/2-716 ბრძანება) და მასთან დაკავშირებულ სხვა მასალებს, წარმოგიდგენთ ჩემს საპასუხო მოსაზრებებს დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, სოფიო ქაცარავას 2020 წლის 3 დეკემბრის N42153-22 წერილში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ჩემს ირგვლივ, როტაციის დაწყებისთანავე არსებული გარკვეული ადმინისტრაციული და ტექნიკური პრობლემების შესახებ თავად არაერთხელ მიმიმართავს სამინისტროსთვის (მინისტრის მოადგილე, **მიხეილ ნინუა**, მინისტრის მოადგილე, ხათუნა თოთლაძე, მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ღვთისიაშვილი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი, გიორგი ნაცვლიშვილი საქმის კურსში იყვნენ არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, რისი დამადასტურებელი ელექტრონული მიმოწერაც არსებობს), თუმცა, რეაგირება და შედეგი ჩემს მიმართვებს არ მოჰყოლია. ეს პრობლემატიკა ცალკე სამართლებრივი და ადმინისტრაციული შეფასების საგანს წარმოადგენს;
- ვადასტურებ, რომ ელჩის ქ. ლონდონში ჩამოსვლისას, მე არ ვიმყოფებოდი ქ. ლონდონში, რადგან ვიყავი ჰოსპიტალიზებული და გავდიოდი მკურნალობას ქ. ბათუმში, კოვიდ-19 დაინფიცირების შედეგად, გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ჰოსპიტალიზაციისა და მკურნალობის კურსი სრულად დავასრულე 2020 წლის 5 მაისს (რისი დამადასტურებელი ოფიციალური ცნობებიც არსებობს).

- ელჩის წერილში ნახსენები არის, რომ „გიორგი ფანიაშვილი ლონდონში დაბრუნდა ივლისის შუა რიცხვებში“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან მე ქ. ლონდონში დაბრუნდი 2020 წლის 16 ივნისს, როგორც კი მომეცა ამის ადმინისტრაციული და ლოგისტიკური შესაძლებლობა. ეს ფაქტი იოლად გადამოწმებადია ალბულის ბილეთებისა და ჩემს მიერ საელჩოს ფარგლებში შესრულებული სამუშაოს საფუძველზე. ამასთან, მე განვუცხადე წერილობით სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, რომ მზად ვიყავი ქ. ლონდონში დაბრუნებისთვის, პირველივე შესაძლებლობისთანავე, კერძოდ, 12 მაისს, თუმცა, სამინისტროსთან შეთანხმებით და კოორდინაციით გადაწყდა ჩემი დაბრუნების დაყოვნება, შვებულების გაგრძელების საფუძველზე.
- რაც შეეხება ჩემს სამსახურებრივ მოვალეობებს, რომელსაც ელჩი ფუნქცია-მოვალეობებად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ჩემს ფუნქცია-მოვალეობებში შედის სტრატეგიული კომუნიკაციებისა და უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა, რაზეც მე უარი განვაცხადე. აქ პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები თავისთავად წარმოადგენს უსაფრთხოების სფეროს ერთ-ერთ ცალკე, სპეციფიურ დარგს. სტრატეგიულ კომუნიკაციებთან დაკავშირებით, ჩემი საელჩოში ყოფნის პერიოდში, 2019 წლის 12-15 ნოემბერს შედგა საქართველოს სტრატეგიის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ქ. ლონდონში, რომელიც განხორციელდა ბრიტანულ-ქართული პროექტის ფარგლებში. მე ჩართული ვიყავი და ვესწრებოდი ამ პროექტის ფარგლებში გამართულ რიგ ღონისძიებებს, რის შესახებაც სამინისტროს მიეწოდა შესაბამისი წერილობითი ანგარიში (2019 წლის 20 ნოემბრის N56032-22 წერილი). ამის შემდეგ, გარკვეული კომუნიკაცია გვექონდა ბრიტანულ კოლეგებთან და ვცდილობდით ამ დარგში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მოგვიანებით პანდემიამ შეაფერხა (ამის დამადასტურებელი ელექტრონული მიმოწერაც არსებობს). ივნისში, ქ. ლონდონში დაბრუნების შემდეგ, სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებზე მე დავალება არც ელექტრონული პროგრამით, არც მეილით არ მიმიღია, რაც ტექნიკურად იოლი გადასამოწმებელია. შესაბამისად, მე ჩართული ვიყავი სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებზე საელჩოს საქმიანობაში და ამ მხრივ, არ ამირიდებია თავიდან ჩემი მოვალეობების შესრულება. ამ შემთხვევაში, ელჩს სტრატეგიული კომუნიკაციები ალბათ აერია საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში, რაც უფრო მოიცავს სოციალურ ქსელებში და საელჩოს ვებ-გვერდზე მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციების განთავსებას. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხებზე საელჩოში შესაბამისი პირი უკვე მუშაობს. ამასთან, უნდა ითქვას და გასათვალისწინებელია, რომ საელჩოში არის დიპლომატიური თანამდებობის პირი, რომელიც ქ. ლონდონში როტაციის წესით მივლენილ იქნა სწორედ სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტიდან. შესაბამისად, ამ კონკრეტულ ნაწილშიც, ელჩის მოსაზრება საკმაოდ ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია.
- ელჩის წერილში ასევე საუბარია, ჩემს მიერ დაკისრებული დავალებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, „ბრიტანეთის მთავრობის „უსაფრთხო კორიდორებთან“ მიდგომის შესახებ“, რაც აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს. ამ მხრივ, გამაჩნია ელექტრონული მიმოწერა, თუ როგორ ვუგზავნიდი ელჩს ინფორმაციას სამგზავრო კორიდორებისა (და არა უსაფრთხო კორიდორები) და საერთაშორისო მგზავრობის წესებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ,

რისი ასლიც ასევე ეგზავნებოდა სამინისტროსა და საელჩოს სხვა თანამშრომლებსაც. აქაც, ელჩს კვლავ განზრახ ან გაუფრთხილებლობით აერია „უსაფრთხო კორიდორების“ საკითხი მისივე სხვა დავალებასთან, რომელიც მოიცავდა პანდემიის პირობებში ქართველი სტუდენტების გაერთიანებულ სამეფოში შემოსვლასთან დაკავშირებით, წესების და რეგულაციების გარკვევას, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ეს სცდებოდა ჩემს უფლებამოსილებას და უფრო ქ. თბილისში ბრიტანეთის საელჩოს კომპეტენციას წარმოადგენდა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, დავეხმარე საკითხის გარკვევაში, რისი წერილობითი დასტურიც ასევე არსებობს.

- რაც შეეხება წერილში მოყვანილ გარემოებას, რომ ვითხოვდი და ვასრულებდი მხოლოდ თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დავალებებს, ასევე მტკნარი სიცრუეა. მაგალითად, სამინისტროში გამოგზავნილია ჩემს მიერ მომზადებული საინფორმაციო-ანალიტიკური ბარათები - გაერთიანებულ სამეფოში არსებული ეპიდსიტუაციის შესახებ (2020 წლის 28 სექტემბრის N33590-22 წერილი), გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივნის, დომინიკ რაბის აშშ-ში ვიზიტის შესახებ (2020 წლის 22 სექტემბრის N32901-22 წერილი), ასევე 2020 წლის 20 აგვისტოს N28940-22 და N28936-22 წერილები, რომელიც შეეხება ელჩის შეხვედრებს ბრიტანეთის პარლამენტის წევრებთან და სხვა არაერთი წერილი (მიეწოდა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს), რომლებიც აბსოლუტურად არ უკავშირდება თავდაცვასა უსაფრთხოების თემატიკას და მათი გადამოწმება იოლად შესაძლებელია. ამასთან, ჩვენ შორის შემდგარი რამდენიმე საუბრისას, ელჩმა ვერ გამოკვეთა სხვა სახის დავალებები ან თემატიკა ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით და ძირითადად მე მიწევდა ახალი სფეროებისა და სამუშაო თემატიკის გამოკვეთა (რისი დადასტურება ასევე შესაძლებელია).
- რაც შეეხება წერილში აღნიშნულ ბოლო საკითხს, კერძოდ იმას, რომ პრაქტიკულად არ დავდივარ სამსახურში ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, აქ უნდა ითქვას, რომ საელჩოს აქვს ვიდეო მონიტორინგის სისტემა და ალბათ შესაძლებელია კონკრეტულ პერიოდზე ჩანაწერების გამოთხოვა, ასევე კანცელარიის ელექტრონული პროგრამაში შესვლის, სამსახურებრივი პერსონალური კომპიუტერის მოხმარების შემოწმება/მონიტორინგი, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ჩემი სამსახურში სიარულის დინამიკა. ამასთან, ჩემთან ოთახში ასევე არის სხვა კოლეგაც, რომელთან შესაძლებელია ამ ინფორმაციის გადამოწმება. აქვე, აღსანიშნავია, რომ პანდემიის გამო, საელჩოებში ჯერ კიდევ მოქმედებს სამინისტროს მიერ დადგენილი დისტანციური მუშაობის რეჟიმი, რომელიც არ გაუქმებულა, ასევე ბრიტანეთში მოქმედებს “stay at home” რეჟიმი, რაც ითვალისწინებს მაქსიმალურად, შეძლებისდაგვარად სახლიდან მუშაობას. ამასთან, ელჩმა რამდენჯერმე პერსონალურად, დაჟინებით მომიწოდა, რომ შემეძლო არ მევლო სამსახურში. მიუხედავად ამისა, მე ყოველდღიურად დავდივარ სამსახურში და ყოველდღიურად, მინიმუმ 4-5 საათს ვატარებ ოფისში. გარდა ამისა, დავალებების მისაცემად, ელჩთან ფიზიკური სიახლოვე არ არის აუცილებელი წინაპირობა დავალების მისაცემად ან მის შესასრულებლად, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა დავალების დისტანციურად მიცემის და შესრულების სრულ საშუალებას. ელჩმა თავად შეწყვიტა ჩემთან კომუნიკაცია და არ პასუხობს ჩემს სამსახურებრივ მეილებს, რომლებითაც

ვთხოვ ამა თუ იმ სახის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგზავნას საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის (ამის დამადასტურებელი მეილებიც არსებობს და შემოძლია საჭიროებისამებრ, სამინისტროსთვის მიწოდება). მაგალითად, ელჩი დღემდე უმიზეზოდ აფერხებს მისივე დავალებით მომზადებულ და ჩემს მიერ მისთვის მეილით მიწოდებული რამდენიმე საინფორმაციო-ანალიტიკური ბარათის და ინფორმაციის გაგზავნას (რისი წერილობითი/ელექტრონული დასტური ასევე არსებობს). დღემდე უმიზეზოდ შეფერხებულია ნოემბრის თვის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმოხილვის დოკუმენტის სამინისტროში გაგზავნა.

აქვე ნიშანდობლივია, რომ თუ პანდემიის პირობებში, საელჩოს თანამშრომელი რამდენიმე კვირა არ ჩანს საელჩოში, ალბათ მიზანშეწონილი იქნებოდა ელჩი თავად დაეკონტაქტოს მას და მოიკითხოს მისი მდგომარეობა.

ყოველივე ზემოხსენებულზე დამატებით, უნდა განვაცხადო, რომ ელჩსა და ჩემს შორის ურთიერთობები ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით აგვისტოს შუა რიცხვებიდან გაუარესდა, რისი მკაფიო გამოხატულებაც იყო ჩემი უორდროპის სტრატეგიულ დიალოგის თავდაცვისა და უსაფრთხოების ნაწილიდან ამოღება (ამ შემთხვევაში ის პირადად ამოვიდა და მოითხოვა ჩემი კომპიუტერის გათიშვა), თუმცა, სასაუბრო საკითხები უორდროპის დიალოგისთვის მისი დავალებით, ჩემს მიერ იქნა მომზადებული, რისი დამადასტურებელი ელექტრონული მიმოწერა ასევე გამაჩნია. ამგვარი, სხვა არაერთი ფაქტი იყო და არის რაზეც ამ წერილში თქვენს დროს აღარ გავხარჯავ.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ წერილი შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობებს და არ არის გამყარებული არანაირი დოკუმენტით, მასალითა (აუდიო, ვიდეო, დოკუმენტური, ელექტრონული თუ სხვა სახის) და სხვა ფაქტობრივი გარემოებით, ჩემთვის გაუგებარია, რა არის ელჩის მიერ თავის წერილში მოყვანილი მოსაზრებების და დაწყებული დისციპლინური წარმოების რეალური მიზეზი.

ვფიქრობ და იმედს ვიტოვებ, სამინისტროს შესაბამისი სამსახურები გაერკვევიან ხსენებულ საკითხში და სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

ამასთან, არ ვთვლი მიზანშეწონილად, რომ ელჩს უნდა ვუპასუხო რაიმე სახის ბრალდებებითა და სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე აპელირებით, რადგან ჩემი აზრით, ეს დააზიანებს სამინისტროსა და საელჩოს პროფესიულ რეპუტაციასა და ერთიანობას.

დასასრულს, იმედს ვიტოვებ, რომ ელჩის გარკვეული გამოუცდელობითა და ემოციურობით გამოწვეული პრობლემები მოგვარდება და კარიერულ დიპლომატებს მიეცემათ საშუალება, განაგრძონ ნორმალური საქმიანობა, ხოლო დიპლომატიურ წარმომადგენლობას საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე ყოფნა.

პატივისცემით,
გიორგი ფანიაშვილი



უფროსი მრჩეველი